№ 150 ივლისი 17, ხუთშაბათი — 1892 — ივლისი 17, ხუთშაბათი № 150

Тифлисский Филиал — Библиотека — при НАУКИ

# ივერია


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 — სამეცნიერო-პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1892


1143

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


## გამოვიდა და ისყიდება

სამეურნეო საზოგადოებასა და ზაქ. პეტრეს ძეს გრიქუროვთან **არჩილ დარეჯანაშვილი** მიერ შედგენილი წიგნები:

ა) ხეხილების დარგვა და მისი მოვლა, 15 სურათით, ფასი აბაზი.

ბ) Краткое наставленіе о размноженіи плодовыхъ деревъ и кустарниковъ съ 15 рисунками.

ფასი აბაზი.

(10—7)

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში ისყიდება „ამხანაგობის“ მიერ გამოცემული

## ჩანგი,

ახლად შედგენილი ვ. აბაშიძის მიერ

ამ წიგნებში გადმობეჭდილია აგრეთვე პირველი ნაწილიდგან საუკეთესო სცენები და ლექსები

წიგნი შეიცავს 580 გვერდს.

ფასი 1 მანეთი.

ქალაქ გარედ ისყიდება ამხანაგობის აგენტებთან.

გამოვიდა ისტორიული თხზულება ანტონ ფურცელაძისა:

## ბრძოლა

**საქართველოს მოსპობაზედ და საქართველოს შესაერთებლად,**

ანუ

გიორგი სააკაძე და მისი დრო.

ისყიდება ტფილისს და სხვა ქალაქებში, სადაც-კი აქვს ქართული წიგნების გამომცემსაზოგადოებას წიგნთსაწყობები. იყიდება აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.


### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში, დილით 15 ივლისს, იყო ხოლერით ავადმყოფი 25 კაცი და 6 ქალი; მთელის დღის განმავლობაში მიემატა 3 კაცი: კერეულიშვილი (ვეტცელის ქარხანა, 10 ნაწ.,) დურიანცი (აბრეშუმის სადგური მუშტაიდში, 10 ნაწ.) და მარქარ-ოღლი (მოვიდა მეშედიდგან, ქუჩაშია აყვანილი). ამ დღეს არავინ მორჩენილა. 16 ივლისს, ღამე მიიყვანეს ერთი ავადმყოფი კაშუგინი (სახლი თაიროვისა, რიყე, 8 ნაწ.). გარდაიცვალა ერთი კაცი კერეულიშვილი. დილით 16 ივლისს ავად იყო 28 კაცი და 6 ქალი.

სპარსელთათვის დროებით აგებულ საავადმყოფოში დილით 15 ივლისს ორი ავადმყოფი იყო, დღისით კიდევ ორი მიემატა და ერთი გარდაიცვალა. დილით 16 ივლისს ხოლერით ავად იყო 3 კაცი.

მიხეილის საავადმყოფოს გარეშე 15 ივლისს, ავად გახდა ეფრემ დანელიანცი, 18 წლისა და გაგზავნილ იქმნა ლაზარეთში (დიდუბე, სახლი ალიშეიდაევისა).

მორჩნენ: ანნა კადუიროვისა და პეისახოვიჩი. ამათ შინა სწამლობდნენ.

ამ უკანასკნელს დღეებში გარდაიცვალა მიხეილის საავადმყოფოს გარეშე: ანნა გასსარტაკი, ანნა კოზლოვისა, კონო სარქისოვი, ექვთიმე ფედულინი, ვასილი ლებედევი, დავით ადამია, სერგო ახშარუმოვი და ტუსაღი რაფაელ კეჩანცი.

სიღნაღის მაზრის უფროსი იუწყება: დედოფლის წყაროზედ ხელ-ახლად გარდაიცვალა ოთხი კაცი და ავად გახდა 3. გადმოსახლებულნი სხვებს მოაშორეს. სოფ. ვაქირში ოთხი გარდაიცვალა.

ტფისისის მაზრის ახალშენ, ალექსანდრედორფში, ავად გახდნენ: ორი კაცი და ერთი ქალი.

გორის მაზრის სოფელს ურბნისში კიდევ გახდა ავად 4 კაცი და გარდაიცვალა სამი: ტატე ბალახაძე, კაკა კაკაშვილი და მღვდლის ქალი მართა მეტრეველი.

დილმის საყარაულოში გარდაიცვალა ხოლერით ტფილისიდგან დაბრუნებული ჩაფარი მოსე ჟურული. სადგურში დეზინფექცია მოახდინეს.

## ახალი ამბავი

⁂ განჯის გუბერნატორი იუწყება: 12 ივლისს შუშაში ავად გახდა 4, მორჩა 3, ავად არის 26; მაზრაში ავად გახდა 67, მორჩა 25, გარდაიცვალა 34, ავად არის 12; განჯაში ავად გახდა 23, მორჩა 6, გარდაიცვალა 21, ავად არის 21; ნუხაში ავად გახდა 25, მორჩა 2, გარდაიცვალა 19, ავად არის 20, მაზრაში ავად არის 2, გარდაიცვალა 2. ჯებრაილის მაზრაში ავად აღარავინ გამხდარა. ჯევანშირის მაზრაში ავად გახდა 25, მორჩა 2, გარდაიცვალა 13, ავად არის 29. ზანგეზურის მაზრაში ავად გახდა 22, მორჩა 4, გარდაიცვალა 23, ავად არის 4. ყაზახის მაზრაში ავად გახდა 1, სულ ავად არის 2. განჯისა და არეშის მაზრებიდგან ცნობები არ მიუღიათ. მთელს გუბერნიაში 116 ავადმყოფია.

⁂ დაღესტანის გუბერნატორი იუწყება: 12 ივლისს ქ. პეტროვსკში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 4. ქ. დარუბანდში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 3. ოლქებში ავად გახდა 254, გარდაიცვალა 133, მორჩა 29. ავად არის: პეტროვსკში 31, დარუბანდში 4. ოლქებში: კიურინისაში 144, კაიტაგო-ტაბასარანისაში 47, სამურისაში 113, დარგინისაში 27, ყაზიკუმიხისაში 22, თემირხანშურისაში 159 და გუნიბისაში 1.

⁂ ერევნის გუბერნატორი იუწყება: 12 ივლის ქ. ნახიჩევანში ავად იყო 8, კიდევ ავად გახდა 46, გარდაიცვალა 17, მორჩა 6, ავად არის 31; მაზრაში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 2, მორჩა 3, ავად არის 7.

⁂ ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 13 ივლისს ბაქოს სამკურნალოში მიიყვანეს 11, გარდაიცვალა 3, მორჩა 5, ავად არის 85; სამკურნალოს გარეშე გარდაიცვალა 6. გუბერნიაში ავად გახდა 144, გარდაიცვალა 109, მორჩა 42, ავად არის 127. სამხედრო სამკურნალოში მიიყვანეს 2, გარდაიცვალა 1, ავად არის 31. ბაქოს საპატიმროში მორჩა 3, ავად არის 5.

⁂ ქუთაისის გუბერნიტორი იუწყება: 13 ივლისს ქ. ფოთში გარდაიცვალა ხოლერით ანაკლიიდგან მოსული ოსმალელი.

⁂ სასულიერო მთავრობის განკარგულებით ტფილისის ყველა მართლ-მადიდებელთა ეკკლესიებში წირვის შემდეგ პარაკლისს იხდიან მცხოვრებთა ხოლერისაგან დახსნისთვის.

⁂ ორშაბათს, 13 ივლისს, ტფილისის სასახლეში კავკასიის მთავარმმართებელის ს. ა. შერემეტიევის თავმჯდომარეობით კერძო კრება მოხდა, ხოლერის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად. კრებამ დაადგინა: აბასთუმანსა და ბორჯომს მიმავალი მგზავრები სადგურს მიხეილოვში მკურნალებმა გასინჯონ და მათი ნივთები სადეზინფექციო წამლებით აპკურონ. ამას გარდა ბორჯომის ხეობაში „ზასტავა“ იქნება გაკეთებული.

## ფელეტონი

### ჩვენი უთავბოლობა

ალებ-მიცემობა და მისი ავ-კარგი.

III*)

ეხლა ვნახოთ, რა ადგილი უჭირავს ცხოვრებაში ალებ-მიცემას და როგორ უნდა შეიცვალოს მისი ცუდი კარგზედ. დავიწყოთ თავიდგან. ქვეყნის ცხოვრების ავ-კარგიანობა ქვეყნის ქონების რაოდენობაზედ ჰკიდია და ქონების რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყნის ალებ-მიცემის ავ-კარგიანობაზედ. მაშასადამე, როგორც გარჯა-შრომა, ისეც ალებ-მიცემობა სათავეა ნივთიერ ცხოვრების ჭირისაცა და ლხინისაც, წარმატებისაცა და შეფერხებისაც. დიაღ, ალებ-მიცემობას პირველი ადგილი უჭირავს ცხოვრების საჭიროებაში: ბევრ ნაირს ნაკლს გავუძლებთ და ავიტანთ, როგორც იქნება, ავად თუ კარგად, და უჭმელუსმელი, ტან-ჩაუცმელი-კი ვერ გამოვდგებით. აი ამ ყოვლად მიუცილებელ საჭიროებისათვის არის კიდეც, რომ მთელის ქვეყნის კაცობრიობა სიყრმიდგან სიკვდილამდე იღებს და აძლევს, ჰყიდის და ჰყიდულობს ცხოვრების ათას ნაირ საჭიროებას. მაგრამ ვაი იმ აღებას და მიცემას: როდესაც იღებ — შენ გატყუებენ, აძლევ — შენ გატყუებენ, ჰყიდულობ—მამასისხლად გაძლევენ, ჰყიდი—ყველას ბზის ფასად იღებენ, რის გამოც აღარა გრჩება ჯიბეში შენის ნაშრომ-ნალვაწიდგან სავინიცობოდ ერთი-ორი გროში, რომ იმით ან შავს დღეში ხელი მოინაცვლო, ან შვილებს ასწავლო, ან თავს გამოადგე, ან კარს, ან მოძმეს და ან ქვეყანას. ამას ვინ-და იჩივლებდა, კუჭს რომ მაინც რიგიანად იძღობდეს მდაბიო ხალხი და უწეს-რიგო ალებ-მიცემობისაგან ვალსა და გაჭირვებაში აღარ ირჩობოდეს თავისა და მთავრობის საჭირ-ბოროტოდ. რომელიმე ჩინოვნიკი თავის დაჩლუნგებულის გონების მეხანიკურ მუშაობას ჰყიდის თვეში რამდენსამე მანათად ან რამდენსამე თუმნად და იმ ფულით ჰყიდულობს ცხოვრების საჭიროებას, რომელშიაც მყვლეფავ ვაჭრების მოტყუებას ვერც ის ასცდება; მხოლოდ ჩინოვნიკი მარტო სყიდვაში ტყუვდება და საბრალო მდაბიო ხალხს-კი, რომელიც წლის-წლობამდის ქედდახრილი ჰირის ოფლს აღვრის დედამიწას და მარტო იმისაგან გამოელის ცხოვრებას, თავის ჰირნახულის გასყიდვაშიაც თვალებს უბამენ და ცხოვრების ათას ნაირ სასყიდლებშიაც იმასვე ჰყვლეფავენ და ატყუებენ ყველაზედ მეტად. მეორეც ეს, ხსენებულ ჩინოვნიკს არცა-რა დაესტყვება, არცა-რას კალია მოუჭამს და მიწის მუშის ჰირნახულს-კი ათასი ცის რისხვა ანადგურებს ყოველწლივ, ასე რომ ცაც-კი იმის ცხოვრების ერთად-ერთს წყარო-მოსავალს ემტერება. მოდით თქვენ და ნუ გაიკვირვებთ: ან-კი პირში სული როგორღა უდგა მდაბიო ხალხს, მოტანებულს ორ-ფეხა მგლებისა და შეუბრალებელ ბუნების შუა!.. წამალი, წამალი! წამალი ქვეყანას, თორემ იღუპება.

აი წამლის აწერასაც მივუახლოვდით, თუ-კი იკმარებს თავ-შეუდებელი ქვეყანა თავის დამღუპავ უთავბოლობა-დაუდევნელობას ძმურის ერთობის ძალ-ღონით შეუდგება გამოფხიზლებულის ქვილ-ხივილით ახალს გზას კეთილ ცხოვრებისას. მხოლოდ პირველში, ვიდრემდის ხალხი ცხოვრების ახალ საკეთილდღეო საქმეებს დაიარსებს და შეეთვისება, საჭიროა ხალხისათვის კაცთ-მოყვარე მთავრობისა და ქვეყნის გულ-შემატკივარი მცოდნე კაცების რჩევა-დახმარება სიტყვით თუ საქმით. ვიდრე საშველ წამლის გამოთეთრებას შევუდგებით, ჯერ ერთი გაკვრით თვალი გადავავლოთ, თუ რა გვარი ალებმიცემობა არსებობს ჩვენის ქვეყნის დღევანდელს პროვინციებში.

ვსთქვათ სიტყვაზედ: ერთს სოფელში სცხოვრობს სამასი კომლი და თითო კომლი, მდიდარი და საწყალი ერთმანეთზედ, ჰყიდულობს ყოველდღიურ ცხოვრების არსებობისათვის წლის-წლობამდის რვა თუმნის ათას ნაირ წვრილმან თუ სხვილმან სასყიდელს, სესხულობს ერთმანეთზედ თითო კომლივე წელიწადში ორს თუმანს საოჯახო და სამეურნეო სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის და ჰყიდის ათის თუმნის ჰირნახულს: ღვინოს, სულადს, ოთხ-ფეხს, მატყლს, აბრეშუმს, თამბაქოს და სხვას. ხსენებულის ანგარიშით, სამასი კომლი წლის განმავლობაში იყიდის 24,000 მანათის სასყიდელს, ივალებს 6,000 მანათს და გაჰყიდის 30,000 მანათის ნაშრომ-ნალვაწს. ახლა ვნახოთ, ზა-

*) იხ. „ივერია“, № 143.

თებული და ბორჯომში არავის გაუშვებენ, თუ მკურნალის მოწმობა არ წარადგინა იმის შესახებ, რომ მგზავრიც გასინჯულია და მისს ნივთებისთვისაც დეზინფექცია მოუხდენიათ.

*** სამშაბათს, 14 ივლისს, კავკასიის მთავარ-მმართებელის თანაშემწემ გრაფმა ტატიშჩევმა დაათვალიერა სამკურნალო, დაარსებული სპარსელ ავადმყოფთათვის.

*** სპარსეთის ქვეშევრდომთათვის დროებით გამართულ სამკურნალოში 15 ივლისს ხოლერით ავადმყოფი იყო 2, მიიყვანეს 2, გარდაიცვალა 1, დარჩა სამი.

*** 14 ივლისს ტფილისში ჩამოვიდნენ ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოგზავნილნი მკურნალნი: ბ-ნნი ბაბინი, ზელენოვი, ემელიანოვი, ფადეევი, გიტტერმანი, ნოვიკოვი და ლექტორსკი.

*** 14 ივლისს, ტფილისის პოლიცმეისტერმა შემდეგი ბრძანება გასცა: რადგანაც 14 ივლისიდგან ტფილისის მეექვსე ნაწილში, ვარანცოვის ქუჩაზედ, დაარსდა ახალი სამკურნალო ხოლერით ავადმყოფ სპარსელთათვის, ამიტომ ვავალებ ბოქაულთა და პოლიციის მოხელეთ, რომ 15 ივლისიდგან ხოლერით ავადმყოფნი სპარსელნი მათთვის ახლად დაარსებულ სამკურნალოში ჰგზავნონ ხოლმე და არა მიხეილის სამკურნალოში.

*** ხოლერას არც სიონის ტაძრის ეზოში მცხოვრებთათვის დაუკლია გული და ამ მყუდრო კუთხეშიაც ჩამოუთარეშნია. ამ თთვის ათს ხოლერით ავად გამხდარა ტაძრის ერთი მოსამსახურე ბიჭი, ორის დღის შემდეგ ზედ მიჰყოლია მეორე, თხუთმეტს—მესამე. დარჩენილა ერთიღა და არ იციან, იმას როდის-ღა შეხვდება რიგი. ავადმყოფები ყველანი მშვიდობიანად გადარჩენილან სენს, რადგანაც დროზედ აღმოუჩენიათ შესაფერი დახმარება. მართალია, სიკვდილს-კი გადარჩენილან ეს საბრალოები, მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, შესაზარია ამათი მდგომარეობა. ოთხ მოსამსახურეს სიონის ეზოში დანიშნული ჰქონიათ ბინად სამი იმისთანა დაბალი, ვიწრო, ნესტიანი და ბინძური ქოხის მზგავსი ოთახი, რომ ამ გვარ უვარგისს ბინაში რიგიანი მეოჯახე საქონლის დაყენებასაც არ იკადრებდა. იქნებაო თექვსმეტი წელიწადი, გადმოგვცეს ჩვენ, რაც ეს ოთახები არ შეუკეთებიათ და არ გაულესნიათ. მართალია, ყოველ დღესასწაულში ამ ოთახებს გააბედნიერებს ხოლმე თავისი შებძანებით პოლიციის ბოქაული, მაგრამ ის კურთხეული მაშინვე პაპიროსის წევას თურმე მოუხშირებს ხოლმე და უეჭველია, რომ თუთუნის ბოლს დაუფარავს იმის თვალთაგან ამ სახლების სიძველე, სიბინძურე და უვარგისობა, თორემ ლაპარაკი არ უნდა, აქამდის უთუოდ მიაქცევდა თავისს სასტიკს ყურადღებას და აღუკრძალავდა მოსამსახურეთ ამ ოთახებში ცხოვრებას. მადლი იქნება, რომ ეხლა მაინც მიაქცევდეს ვინმე ამ ოთახებს ჯეროვანს ყურადღებას და შესაფერად მოაწყობდეს. ვგონებთ, არც ის იქნება ურიგო, რომ ამ საბრალო ბიჭებისთვის ვინმემ გამოიღოს თავი და მუქთი ჩაი გაუჩინოს ხოლერის განელებამდე.

*** 16 ივლისს კვლავ შემოიტანეს ქალაქის გამგეობაში შემოწირულებანი ს. სარგებლოდ იმ ოჯახობათა, რომელნიც დაზარალდნენ ხოლერისაგან: ფრიდონოვის ბანკირის კანტორამ —100 მან., ა. დ. ტირიუტინმა—10 მან., სავაჭრო სახლმა ი. ე. ფითოევისამ—1000 მან., გ. ტკაჩევმა—3 მან., ტფილისის ვაჭართა მოთავემ—300 მან. და ძმათა ცოვიანოვებმა—200 მ. ამ სახით, წინად შემოტანილითვე სულ—3810 მანეთია.

*** ხოლერის გაჩენამ გორის მაზრაში დიდათ დააფიქრიანა ადმინისტრაცია. სამწუხარო ის არის, რომ ხოლერა სოფლებში ძლიერ მალე ვრცელდება და ექიმების რიცხვი-კი ცოტაა. აბა რას გახდება გორის სამაზრო ექიმი, რომელსაც თავისი პირდაპირი მოვალეობა აქვს. საქმეს ბევრს ვერაფერს უშველის ცხინვალის ექიმიც. ერთი სოფლიდგან თუ მეორე სოფელში უკრავენ თავს, როგორცა სჩანს გაზეთებიდგან. ვიმეორებთ, ვერცარაფერს თვალსაჩინოს ცხინვალის ექიმი გაარიგებს. ამისათვის, როგორც შევიტყეთ, ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი აპირებს დროებით გორის მაზრაში გაგზავნოს გამოცდილი ტფილისის ექიმი, გ. გ. მაღალაშვილი და გედევანიშვილი ოთხის ფერშლით. ამ ექიმთა და ფერშალთ ჯამაგირი მიეცემათ იმ ფულიდგან, რომელიც ჩვენმა ბანკმა გადასდო. ბორჩალოს მაზრაში ბანკისავე ხარჯით იგზავნება ექიმი კაზლოვსკი ორის ფერშლით.

*** გლეხების განთავისუფლების დროს ჩვენში იმისთანა მემამულენიც იყვნენ, რომელთაც უფლება არა ჰქონდათ ეყოლნათ და ჰყოლოდათ ყმები. ბევრს ამ გვარს ყმებს ვენახები ჰქონდათ გაშენებული მებატონეთა მამულზედ; როდესაც „უსტავნი გრამოტები“ შეადგინეს, დაკანონდა, რომ განთავისუფლებულმა გლეხებმა უნდა იხადონ მებატონის სასარგებლოდ გადაჭრილი გადასახადი. ეხლა, როგორც იუწყებიან ადგილობრივი გაზეთები, სენატს განუხილავს რამდენიმე საჩივარი გლეხების: არ ეკუთვნით ასეთ მებატონეებს ჩვენგან გაშენებული ვენახებიდგან გადასახადი ღვინითაო, და დაუდგენია: ის ვენახები, რომელიც გაშენებული ყოფილა გლეხების განთავისუფლებამდე ე. ი. „უსტავნის გრამოტების“ შედგენამდე, მიეცეს გლეხებს სრულ საკუთრებად. ხოლო იმ ვენახებიდგან, რომელიც გაუშენებიათ შემდეგ, გლეხებმა უნდა იხადონ გადასახადი ღვინით-კი არა, არამედ როგორც მინდვრის მიწისა.

მკითხველი, რასაკვირველია, მიხვდებოდა, რომ ახალი კანონი არ შეეხება ჩვენს დროებით ვალდებულ გლეხებს და მათ მებატონეებს, თავად-აზნაურობას, არამედ ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში და ბორჩალოში მცხოვრებს მეკომურებს (поселяне) და მათს იმ მებატონეთ, რომელნიც კეთილშობილ წოდებას არ ეკუთვნიან და მაშასადამე უფლებაც არა ჰქონდათ ჰყოლოდათ ყმები.

*** ჩვენ შემოგვჩივიან ავლაბრელები და ჩუღურეთლები, რომ წარმოიდგინეთ ჩვენი უბედურება, მთელს ჩვენს უბნებში ერთი ექიმიც არა სცხოვრობს, რომ ადამიანმა გაჭირვების დროს მიჰმართოს და ავადმყოფს გამოცდილი ხელი და წამალი მალე მიაშველოსო. არიან სასანიტარო დასების ექიმები, მაგრამ ისინიც ღამ-ღამე თავისს სახლებში არიან, რომელიც სხვა უბნებში აქვთ, მიდიან და ვართ ასე უპატრონოდ დარჩენილნიო. იმედია, ვისდამიც ჯერ არს, ამ სამართლიანს თხოვნას ყურადღებას მიაქცევს.

*** დღეს, პარასკევს, 17 ივლისს, პუშკინის ბაღში დანიშნულია ბენეფისი ახალგაზდა დირიჟორის ი. პ. ფ ლიაშვილისა. წარმოდგენილი იქნება ლეკოკის სამ-მოქმედებიანი ოპერეტი: „ქ-ნი ანგო, ანუ ბაზრის ქალიშვილი“ („La fille de m-me Ango“). მონაწილეობას იღებენ საუკეთესო არტისტები: ქ-ნი ანტონოვისა, სლავსკაია, ბ-ნნი: დოლინსკი, ბიაზი, იაკოვლევი და სხ.

*** როგორც მკითხველებმაც უწყიან, რუსეთში ამ ჟამად გალობასა სწავლობს ჩვენი თანამემამულე, პლატ. მიხ. კაკაბაძე, რომელსაც საუცხოო ხმა აქვს ტენორისა (tenor-di-forso) და მასწავლებელნი დიდს მერმისსაც უქადიან. როგორც შევიტყეთ, პ. კაკაბაძე ამ ჟამად, საიმპერატორო დირექციის განკარგულებით, გალობის პროფესორის ბ-ნს სონკისს გაჰყოლია საზღვარ-გარედ, გალობის ხელოვნებაში უკეთ გასავარჯიშებლად.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მმართველობამ მისწერა ყველა სასწავლებლებს:

1) მიღებულ იქმნას ყოველ გვარი საშუალება, რომ სასწავლებლის შენობა სუფთად იყოს შენახული.

2) მოსწავლეთ მიეცეთ შესაფერი დარიგება, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ხოლერის დროს.

3) დაისინჯოს სადგურები იმ მოწაფეთა, რომელნიც პანსიონში არა სცხოვრობენ და სასწავლებელში თავის სადგურიდგან დაიარებიან, და მიღებულ იქმნას ყოველ გვარი საშუალება, რომ ეს სადგურები სუფთადა და რიგიანად იყოს შენახული.

4) დიდი ყურადღება მიექცეს პანსიონის სადგურს, საჭმელს, ტანთსაცმელს და თეთრეულს, აგრეთვე იმ მოწაფეთა ყოფა-ცხოვრებას, რომელნიც საზაფხულოდ პანსიონებში დარჩნენ.

რადგანაც საერო განათლების მინისტრის მიერ 1884 წ. 27 თებერვალს გამოცემულ ცირკულიარით, გადამდებ ავადმყოფობის დროს სწავლა მაინც უნდა იყოს ყველა სასწავლებელში, ამიტომ დასვენების დროს მოწაფეებს მიეცეთ საუზმე, სასმელად იხმარონ ადუღებული წყალი, მიიწვიონ ხოლმე მკურნალი და საზოგადოდ ყოველ გვარი საშუალება იხმარონ სასწავლებლებში ხოლერის გავრცელების წინააღმდეგ.

*** გაზეთი „Кавказъ“-ი იუწყება: ამ ჟამად ტფილისში ჩამოვიდნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის დასათვალიერებლად რკინის გზათა უფროსი ინსპექტორი ფონ-ვენდრიხი და სახელმწიფო რკინის გზათა დროებითი მმართველობის თავმჯდომარე ინჟინერი ადადუროვი.

ტფილისის პოლიცმეისტერის თაოსნობით ალექსანდრეს ბაღში სასადილო იქნება გამართული და ღარიბ ხალხს მუქთად შეეძლება აქ სადილის ჭამა.

თუმცა ტფილისში სრულიად აკრძალულია: კიტრისა, თუთისა, ქერამისა, ქლიავისა და სხვა ხილეულობის გაყიდვა, მაგრამ ყოველ დღე მახლობელ სოფლებიდგან ჩამოაქვთ სხვა-და-სხვა ხილი გ საყიდად. სანიტარები-კი ტფილისში ამ ხილს გადაუყრიან ხოლმე სოფლელებს. საჭიროა, რომ მაზრის პოლიციამ ჩააგონოს სოფლელებს, რომ ტფილისში ხილის გაყიდვა აკრძალულია და ამიტომ ტყუილად ნუ სცდებიან გლეხები ტფილისში ხილის ჩამოტანით.

*** გაზეთ „Кавказъ“-ის № 184-ში ეწერა და ჩვენც გადმოვბეჭდეთ შემდეგი ამბავი: „დოლანოვის ქარხანაში ხოლერით ავად გახდა იალოვენკო“-ო. „Кавказъ“-ისავე № 187-ში ვკითხულობთ: „ბ-ნი დოლანოვი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მის ქარხანაში ხოლერით არავინ გამხდარა ავად. იალოვენკო-კი შეცდომით დასახეს ხოლერით ავადმყოფად, ირჩობოდა და გრძნობა წასული გამოიყვანეს მტკვრიდგან, შემდეგ სამკურნალოში გაჰგზავნეს და იქ ხოლერით ავადმყოფი ეგონათ. ხოლო ამ ჟამად ეს საქმე გამოაშკარავდა და იალოვენკო ხოლერიან ავადმყოფად არ ითვლება სამკურნალოში.

*** სტავროპოლის გუბერნატორი იუწყება: 7 ივლისს ალექსანდრეს მაზრის სოფ. სოლომენკოში ხოლე-

---

რალობს თუ აგებს ამ აღებ-მიცემობაში ეს სამასი კომლი. პროვინციის გამოქნილი ვაჭრები ერთმანეთზედ იგებენ გასყიდულ საქონელში უკანასკნელს 30%, საყოველთაო სავაჭრო დეპო-კი (რომ ყოფილიყო) მანათში 10%-საც იკმარებდა. მაშასადამე, ყოველ-წლივ სამასი კომლი მეტს აძლევს კერძო ვაჭარ-ჩარჩებს მანათზედ 20%, ანუ 24,000 მანათის სასყიდელში 4,800 მ. ნამეტანს; ყველგან სოფლებში ყვლეფია მოვახშეები ექვს შაურიდგან სამ აბაზამდე სარგებელს იღებენ თთვეში თუმანზედ, რომლის მანათს საშუალოდ 50% მოუვა წელიწადში, დეპოსთან დაფუძნებულ შემნახველ-გამსესხებელ კასსას-კი (რომ ყოფილიყო) ეკმარებოდა მანათზედ 8% წელიწადში, მაშასადამე, ხსენებული სამასი კომლი მეტს აძლევს ორფეხა ნადირებს მუდამ წელს ყოველს თითოეულს მანათზედ 42%, ანუ 6,000 მანათში 2,520 მან. ნამეტანს; გაჭირება-უვიცობისა და ქირნახულის საზოგადო-სავაჭრო საწყობის უქონლობის გამო სამასი კომლი თავის წვითა და დაგვით მონაგრებულ ნაშრომ-ნაღვაწს ჰყიდის მაწანწალა ჩარჩ-ვაჭრებზედ მანათად ღირებულს თოთხმეტ შაურადაც ძლივს, რის ხვეწნა-მუდარით და უკან დევნით, მაშასადამე, ყოველ-წლივ სამასი კომლი თავის 30,000 მანათის გასყიდულში ზარალობს 9,000 მ., ანუ მანათში—30%-ს. ამ 9,000 მანათს რომ მიუმატოთ 4,800 მ. მეტი მიცემული სასყიდლებში და 2,520 მანათი ნასესხებ ფულების ულმერთო სარგებელი, გამოვა, რომ ყოველ წლივ სამასი კომლი ზარალობს ცუდის აღებ-მიცემისაგან 14,320 მანათს!. საიდგანაც თითო კომლს შეჰხვდება 47 მანათი და $73\frac{1}{2}$ კაპ. ყოველ წლიური ზარალი. საქართველოში 200,000 კომლი ქართველთა ოჯახობა ითვლება და თუნდ თითო კომლმა რომ სულ უკანასკნელი 40 მანათი იზარალოს ცუდის აღებ-მიცემობისაგან, მაინც რვა მილიონ მანათს შეადგენს ყოველ წლიური ზარალი ჩვენის ერისა. ეხლა თქვენ თითონ წარმოიდგინეთ: რა იქნებოდა ჩვენი ერი და ჩვენი ქვეყანა და რას არ მოიქმედებდა სოციალურის ცვლილების მოსახდენად საყოველთაო ბედნიერებისათვის ეს რვა მილიონი მანათი, რომ იმისსავე ჯიბეში ჩადიოდეს ყოველ წლივ წეს-რიგიანად მოწყობილ აღებ-მიცემობის წყალობით და ათას ძაღლსა და ღორს ველარ გაჰქონდეს მარტო თავის საკეთილდღეოდ და უთვალავ ლატაკების გასანადგურებლად. მაგრამ ჯერ ამას თავი დავანებოთ და მივუბრუნდეთ ისევ იმ სამასს კომლს.

როგორც თქვენმა კეთილმა ყურმა მოისმინა, სამასი კომლი ზარალობს ყოველ წლივ უწეს-რიგო აღებ-მიცემობისაგან 14,320 მანათს, მაგრამ განა მარტო ამ ზარალს აკმარებენ ხალხს გამგელკაცებული ვაჭარ-ჩარჩები, რომელთაც სინდისი ნახშირის მოედანზ დ გაუყიდნიათ და აღარც ღვთისა ეშინიანთ და აღარც კაცისა სცხვენიანთ. რა გვარ ცბიერობას, გაიძვერობას და საზიზღრობას ჰბრძანებთ, რომ იმათ არ გამოუგიდეთ ხელ-პირიდგან ცხვარივით ხალხის გასაკრეჭად, რომელსაც ზომაშიაც ატყუებენ, წონაშიაც, [illegible], [illegible]სშიაც, ანგარიშშიაც და საქონლის ღირსებაშიაც. მეორეც ეს: სამის მანათის სასყიდელში ერთის თუმნისას ალაპარაკებენ მსყიდავს და მთელს დღეს აცდენენ და ატარებენ, რადგანაც მანათიანს სამ-მანათად უფასებენ და აბაზიანს სამ აბაზად. თუ მყიდავი დიდის ხნის ნაყვლეფია ვაჭრებისაგან და ცოტაოდნად გამოცდილი „ვაჭრების სიძაღლეში“, ხომ ისე ძალიან აღარ „ჩაეფლობა“, თუ არა-და, ღრმად ჩაეფლობა (მოტყუვდება). ან-კი რას იზამს, როდესაც ერთი-ათად უფასებენ. ისიც ჰფიქრობს: ნახევარ-ფასად მაინც ღირსო, და ერთი-ხუთად ჰყიდულობს. მესამეც ეს: პროვინციის ბაზაზმა, მეწვრიმალემ თუ ხელოსანმა სამ-მანეთიანი ნივთი რომ თუმნად დაგიფასოს და შენ ოთხი მანათი შეაძლიო, ვაი ქვასა და წყალს! ქვეყანას თავზედ შეგიყრის ომახიანის ლანძღვა გინებით: ერთი აქ უყურეთ ამ ფათრეთ ძაღლს, თუმნიან საქონელში ოთხ მანათს მაძლევსო!.. არა, აქ შენი მასხარა ვინ არის, შე ოხერტიალო, წადი, დაიკარგე აქედგან, შენი აგრე და იგრეო!.. ვაჭრების ასეთი თავ გასული სიბრიყვე კარგად იციან მანდილოსნებმა და ვისაც ლანძღვა ჩირადაც არ მიაჩნია, ის ლანძღვას ირჩევს და არ-კი ჩაეფლობა, და ვისაც ლანძღვა სიკვდილად მიაჩნია, ის-კი ისევ ჩაფლობას ირჩევს და შიშით ნაკლებს ფასს ვერ გაუბედავს: ეგ პირი არ დააღოს ჯორივით და თავზედ ლაფი არ დამასხას საქვეყნოდ ლაწირაკმაო, გაიფიქრებს გულში. შეჰხვდებით ისეთ ქლესა მოვაჭრესაც, რომელიც მელასავით ხელში მოგიკვდებათ, რაც

რით ავად გახდა 9, გარდაიცვალა 3, „(Терск. Вѣд.)“

*** გაზეთი „Нов. Обоз.“ იუწყება: „ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისელ ზოგიერთა ექიმებს განზრახვა აქვთ, ადგილობრივს ენებზედ რამდენიმე ლექცია წაუკითხონ ხალხს ხოლერის შესახებ და შესაფერი დარიგება მისცენ, თუ როგორ უნდა მოიქცეს კაცი ხოლერის დროსა“.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს განზრახვა დიდად საკეთილოა, რადგანაც დაბეჭდილს დარიგებას წერა-კითხვის უცოდინარობის გამო ხალხი ძლიერ ნაკლებადა კითხულობს.

## მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესად ბრძანებით: მეცამეტე ლეიბ-ერევნის პოლკის პორუჩიკს თავ. შერვაშიძეს—შტაბს-კაპიტნობა.

პოდპორუჩიკს მესხიშვილს—პორუჩიკობა.

პოდპორუჩიკს ჯაყელს—პორუჩიკობა.

შტაბს-კაპიტანს აბულაძეს—კაპიტნობა.

პოდპორუჩიკს არდაზიანს (ზაქარიას)—პორუჩიკობა.

პორუჩიკს ჯაყელს შტაბს-კაპიტნობა.

პოდპორუჩიკს თავ. მიქელაძეს—პორუჩიკობა.

პორუჩიკს თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის—შტაბს-კაპიტნობა.

პოდპორუჩიკს ტატიშვილს—პორუჩიკობა.

შტაბს-კაპიტანს კვალიაშვილს—კაპიტნობა.

პორუჩიკს ქართველიშვილს—შტაბს-კაპიტნობა.

პორუჩიკს თავ. შალიკაშვილს—შტაბს-კაპიტნობა.

ყაზახის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე გუბერნსკი სეკრეტარი იოსებ მთვარელიძე გადაყვანილ იქმნა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, თავ. ილია ავალიშვილის მოადგილედ, ხოლო თავ. ავალიშვილი გადაყვანილ იქმნა ყაზახში.

დანიშნულ იქმნა: მეცამეტე ლეიბ-ერევნის პოლკის პორუჩიკი თავ. სიდამონ-ერისთავი—უმთავრეს შტაბის უფროსის საქმეთა მოხელედ.

ავადმყოფობის გამო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან სალიანის სათადარიგო ბატალიონის პორუჩიკი მანუჩაროვი, შტაბს-კაპიტნის ჩინით, მუნდირით და პენსიით.

ხელმწიფე იმპერატორმა 9 ივლისს უმაღლესად უბოძა წმ. ანნას მეორე ხარისხის ორდენი: სამსახურს გარეშე მყოფს გენერალ-მაიორს თავ. ზურაბ ჩხოტუას; წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი: თავ. ივანე ჯანდიერს და აზნაურს სპირიდონ ჯაფარიძეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქ. გორი,** 9 ივლისი. მე-კი გორთან ხონი გამახსენდება ხოლმე, მკითხველო, და შენი-კი არ ვიცი. რადა ნეტავი? რადა და იმიტომ, რომ რა სენითაც გორია ავად, სწორედ იმ სენითვეა ავად ხონიც. სენი იგი არის მანდილოსანთა ჭორიკანობა. და-და-და-და!.. ღმერთმა დაიხსნას ყოველი ძე ხორციელი ადამიანი გორელების ჭორისაგან, ერთს წამს ბაქოში გაგზავნიან, წამს საიქიოს!.. ახლა ჩვენთვისა ვთქვათ, ხოლერას კიდევ შევებრძოლებით რითმე, ან ისეთი დროც დადგება, რომ პატრონს ჩაჰბარდეს იმისი ბაცილები და ველარ ერმოს ადამიანის გვამს, მაგრამ როგორ მოისპოს ჭორობა-ჭორიკანობა? ამას არც სანიტარული კომისიები შეასრულებს, არც ქალაქის თავი, რაც უნდა მხურვალედ ეცადონ, თუნდაც რომ ნიადაგ გორში იცხოვრონ და გაზეთები აღარ იძახდნენ, რომ ისინი თავიანთ აგარაკებიდგან მარტო თთვის ოცში ჩამოდიან ქალაქის გამგეობის კასის გამოსაბერტყადაო. გარდა იმისა, რომ ვის არ დაუმეგობრებენ, ვის ვის არ შერთავენ და დანიშნავენ, აი კიდევ რას იგონებენ, და მშვიდ მუშა-კაცის ცხოვრებას მითი არღვევენ: ღმერთო, რას არ იტყვიან!... წუხელის ხიდის თავში ორი კაცი მომკვდარაო ხოლერით, დღესვე ჰმარხავენო. დღეს დილას ყასაბ ნანუას ბიჭს ნავთი დაასხეს და ისე დასწვესო. ყასაბიკი დღეს დილას საყასბოში ბრძანდება. ღმერთო, შენ დაგვიხსენ ბაცილასაგან! ხოლერა აქ ჯერ არ შემოსულა, თუმცა 70 ვერსზეა ჩვენგან. აქამდის აქაც არ იქნებოდა არ ეჩინა თავი, მაგრამ არ ვიცი, რა ღვთის განგების ბრალია, იმისდა მიუხედავად, რომ გორზედ ბევრი სოფლად გამოვლილი მიდის, ან თითონ ნათესავებთან მოდიან საცხოვრებლად ხოლერიანი ადგილიდგან, ან საზაფხულოდ... აქაურ მედუქნე „ხეჩოს“ რამდენიმე სომხის ოჯახი ეწვია ბაქოდგან საცხოვრებლად. არ ვიცი, მიაქციეს ამ შემთხვევას, ვისიც ჯერ არს, ყურადღება, თუ არა.

ღვთის მადლით, ყოველისავე ამის მიუხედავად, ჯერ აქ თავი არაფერს არას არ უჩენია. გორის სადგურიდგან ქალაქში შესასვლელად ხიდზედ უნდა გაიაროს მისულმა. თუ კაცია და გასინჯამს ვინმე გამვლელებს ამ ხიდზედ? აქ ამ ერთის კვირის წინად, ერთი ქალაქის ბოქაულთაგანი უხვდებოდა მომსვლელთ და ეკითხებოდა, თუ ვინ საიდგან მოდიოდა და ვისთან. აი ეს იყო კარანტინი. არც მაზრის მკურნალი, არც ერთი, არც მეორე! შესაძლებელია ხომ, ჩვენც, გორელები, ისეთსავე განსაცდელში ჩავარდეთ, როგორც ბაქოელები და ტფილისელები. საზოგადოდ ქართველი კაცი ასეთია, სანამ გაჭირვებას ცხადად არ დაინახავს, მანამ იმის საბრძოლველად იარაღს არ აიღებს. უნდა ვეცადოთ, გზა გამოვაჩინოთ და ურემი არ გადავაბრუნოთ, თორემ, როცა ურემი გადაბრუნდება, გზა რაღა საჭიროა.

აბა ახლა ჩვენ ჩვენ თავად ვიფიქროთ, ვცდილობთ როგორმე გორის გაწმენდ-გასუფთავებისათვის? ყველა ჰხედავს, რომ ქალაქის უმეტესს ნაწილ ქუჩებში გროვა-გროვა ტალახი, წუმპეები და გუბეებია, რომლებსაც ამ სიცხეში გასიებული ბუზები და ათასი სხვა მწერები დაჰხარიან და დასტრიალებენ სიამოვნებით და მით გვიწამლენ ჰაერს, ამ აუცილებელ ადამიანის საზრდოს. ვინა ხართ ამის პატრონნი? ვისიც რიგია იზრუნოს ამისათვის, მივაქცევ განსაკუთრებით მათს ყურადღებას. მე, კორესპონდენტი, ჩემს ვალს ვასრულებ და ვფიქრობ, საქვეყნოდ ნათქვამი მაინც გამოარკვევს თქვენს გულისყურს მდევურის ქართლურ ძილისაგან.

გთხოვთ მეც მიცნობდეთ, რომ ბევრი უიმედო ძებნა არ მოგინდეთ, მე ქვემორე ამის ხელის მომწერელი „ნიორა“, ვცხოვრობ გარეთუბანში. აი სოფლისაგან მარტო იმითი რომ განირჩევა, რომ უფრო მრავალ ადგილას აგროვია დარბაისელი ნაგავ-ბუნჩის გორაკები. ერთს დღეს მე, თქვენმა უმორჩილესმა მონამ, განვიზრახე ჩემის ფეხით შემომეარა მთელი ქალაქი, რადგან დიდი ხანია აღარ მენახა და ნაწარ-ნამოქმედარი ჩამეწერა ჩემს ახალ დავთარში: „ხოლერიანი წელიწადი“. სანიტარი ხომ არა ხარო, იქნება მკითხოთ? სანიტარი-კი არა ვარ, მაგრამ რა, ჩვენებურმა სანიტარმა ქუჩები ხომ არ უნდა დაათვალიეროს; ის უნდა იჯდეს თავის გაპარპაშებულ კაბინეთში და ოცნებებით სტკბებოდეს საღამოს 7 საათამდის და ჰფიქრობდნენ; „ეს გორის ზენაქარები ხოლერას-კი არა, ჯანდაბასაც ვერ მოიტანენ გორსაო“ და საღამოზედ ვალსსა პროწიალობდეს რომელისამე ტანწვრილ-ლერწამ დარეჯანთან, ან „შარებს“ ახეთქებდეს ბილლიარდის სტოლზედ. დიახ შეარაღებული ემზადება გორი ამ საზოგადო ჭირთან საბრძოლველად. არ შგშვენის გორო, თორე შენ იცი! იმას ვამბობდი: ვიარე, ვიხეტიალე გორში და საღამოზედ დავბრუნდი შინ ჩემს სახლში და აი, რა ჩავწერე ჩემს რვეულში სახსოვრად:

1892 წ. 8 ივლისი. 1) ხოლერა კარებზედა დგას, 2) ჩვენი გორი ძრიელ „გაუჩოთქავია“ და მოუმზადებელი სენის საბრძოლველად; 3) „გძელ შესახვევში“ ასეთი ტბა ლივლივებს, რომ არამც თუ ხორველის ბაცილებს უშველის გამრავლებას, მალე ბაყაყის თავკომბალებიც გაჩნდება; 4) აქაური სასანიტარო კომისია უძლურია; 5) აქაური საზოგადო სასწორის გარშემო იყიდება, მეტადრე გლეხებზედ, გაუჰინჰავი, თითქმის წამხდარი ლოქოს თევზი; 6) პროგრესი გორისა მარტო იმაში არა მდგომიარობს, რომ დარაჯთ რიცხი მოუმატეს და კიდევ ქუჩებს მარტო რუსული ასოებით სახელები დააწერეს, რომლებიც, ვინც გეომეტრია არ იცის, ძნელი გასაგებია. Ломанная, паралельная, кривая დასხვა; 7) უკანასკნელი სახელი კითხვის არ მცოდნებმა „საკრივო“ ქუჩად მონათლეს; ეხლა, ამობენ, ალბად ყველგან კრივს გვიშლიან და აქ უნდა გვეკრივაო“; 8) კვირაობით, ყველა დუქნები დააკეტინეს და იარმუკობა, მაგრამ სამიკიტნო დუქნების უკანა კარებებიდგან რუმკობაა, წინკი დაკეტილია. 9) ვინც მამლის ყივილისას არ მივა აქაურ ყასაბთან, ხეირიან ხორცს ვერ მიიღებს. მერე ეტყვიან, სულ გაიყიდა, ეს-ღა არიო. 10) აქ ჭკუის საზრდო ძალიან ძნელი მოსაპოვებელია, მეწიგნთ-საცავეს, თუ არ საყასბოს კარებ-წინ, ვერსად ჩაიგდებთ. 11) გორელი მანდილოსნები მალე გამოსცემენ გაზეთს: „გორული ჭორები“-ს. 12) ასოთ ამწყობებმა გორის სტამბაში ქართული ლამის დაივიწყონ, ცარიელის ბლანკების ბეჭდვის გამო; ვინც ქართულ თხზულებას გამოჰგზავნის, უფასოდ დაუბეჭდავენ. 13) დილიდგან საღამომდის გორელი ქალები მაღაზიებში დადიან და სხ.

ი. ნიორა

## დეპეშა

15 ივლისი

**პეტერბურგი.** განსაკუთრებულს კომიტეტს 1 ივლისიდგან 15-მდე მიუღია შეწირულებანი სულ 13,974 მან.

უკანასკნელ დღეებში ხოლერით გარდაიცვალა: კავკასიაში—616, დონის ოლქში—261, ასტრახანის გუბერნიაში—202, სამარას გუბერნიაში—161, იმიერ-კასპიის მხარეს—115, სარატოვში—52, სამარაში—26, ნიჟეგოროდის გუბერნიაში—12, ყაზანის გუბერნიაში—12, ვორონეჟი-როსტოვის რკინის გზის სადგურებზედ—9, ქ. ვორონეჟში—1.

ამ დღეებში გადასწყდება საქმე შვრიისა და ქატოს საზღვარ გარეთ გატანის შესახებ.

“Journal de St.-Petercbourg“ კიდევ იმეორებს: ის ხმები, ვითომ ბელჩევის საქმის გარჩევის დროს რუსეთის რაღაცა საბუთის ქაღალდები აღმოჩნდა,—უსაფუძვლო ჭორიაო.

„Нов. Врем.“ იუწყება: პეტერბურგში არსდება ახალი სასწავლებელი „სამხედრო ელექტროტეხნიკთა ინსტიტუტი“. სასწავლებელი დაარსდება ოქტომბერში. პირველს წელიწადს მიიღებენ 50 აფიცერს.

სენატმა გაარჩია საქმე შესახებ იმისა, უფლება აქვთ თუ არა სოფლის სასამართლოებს დამნაშავეთა როზგით დასჯისა იმ ადგილებში, სადაც საერობო უფროსების შესახებ დებულებაა მიღებული. სენატმა ეს საქმე გადასწყვიტა ისევე, როგორც იუსტიცი-

---

უნდ აწყენინოთ, სულ „მე მოვკვდე და შენ იცოცხლე“-ს გიპასუხებთ და ყველა მწუხარე-გაჭირვებულს ცრემლით ღმერთს ავედრებს, მაგრამ რა გამოვიდა, ასეთი გაიძვერა-გამოქნილი ვაჭრები უფრო ყველაზედ მეტად აჩანაგებენ ქვეყანას, რადგანაც უვიცს ხალხს ალალ-მართალ ადამიანებად მიაჩნია ისინი და ბრმად ენდობა ყველაში იმისთანა ანგელოზად თავის მომჩვენებელ ქრისტეს გამყიდავ იუდას კერძებს. მეოთხეც ეს: გარყვნილ ვაჭრების უწმაწურისა და გამრყვნელ სიტყვა-პასუხით ხომ შებეზრებელია მთელი მდაბიო ერის მანდილოსნობა. მეხუთეც ეს: ერთის თუმნის სავაჭრო რომ იყიდოს მუშტარმა, ხუთის მანეთისას კიდევ სხვას მიაჩეჩებენ და აჰკიდებენ ძალის-ძალად, რაც იმ ხელად სრულიადაც საჭირო არ არის მსყიდავისათვის.

აი ამ ძალად მისყიდვის ხელოვნებამდისაც-კი მიაღწიეს დღევანდელმა გამგელკაცებულმა ვაჭრებმა, რომელთაგანი ზოგი ისე ოსტატურად მოქნილია თასმასავით საეჭვო მოულოდნელ ყბედობაში, რომ თვით ანტიქრისტესაც თავის ჭკუაზედ აათამაშებს ბუმბულივით და თუ ქისაში აბადია რამე, შინ აღარ გაატანს: რაც არ უნდა, ძალა-უნებურად აყიდვინებს. ამ საზიზღარ ვირეშმაკობას „დაუფასებელს ნიჭს“ ეძახიან ვაჭრები და ამ „ნიჭის“ მქონე გაქნილ კაცუნას თვით მთელის ქვეყნის გენიოსებშიაც არ გასცვლიან, საქმე რომ იყოს. ასეთი „ნიჭიერი“ ვაჭრები არა თუ 30%-ს, ახლად გამოსულ მოდის „ტყუილის ამტან“ (ვაჭრების საკუთარი ტერმინია) საქონელში ხან მანეთზედ მანეთს და ხშირად მანეთში ორ მანეთსაც იგებენ, რის გამოც ვინც წლით იზრდება, ისინი დღით იზრდებიან: შეჰხედავ ვიღაც ლაწირაკს, ხუთის მანათის საწვრიმალო დაუწყვია რომელსამე სოფლის მოქოხებულ დუქანში. ჰნახავ იმავე ლაწირაკს ხუთიექვსის წლის შემდეგ—და სადღაა ლაწირაკი! მამალი ინდაურივით გაბერილი „ხაზეინი“ გამხდარა, თავის საკუთარი ქვითკირის სახლები წამოუჭიმავს, შიგ ვეებერთელა მაღაზია გაუჩაღებია ათას ნაირი სავაჭროებისა და დუღს და გადმოდის მუშტრებით იმისი არე-მარე, სადაც ორთავ ხელში დუქარდები უჭირავთ „ხაზეინს“, იმის „უმანკო“ ცოლ-შვილს და „პრიკაშჩიკებს“ და ჰკრეჭენ და ჰკრეჭენ ცხვარივით ხალხს!.. შენ-კი ჰკვირობ, იწერ პირჯვარს თავის ქნევით და ჰკითხულობ სასოფლოზედ: კაცებო, ხაზინა უპოვნია მავანს დანდობილა „გახაზეინებულ“ ლაწირაკს, თუ როგორ არი? ხაზინა რა ბძანებაა! მოგიგებენ აქეთ-იქიდამ მეტის ჯაფა-სილატაკისაგან წელში მოხრილი გლეხები: მაგი მეტი ძაღლი და ღორი გასუქდა და აივსო ყელთამდინ ჩვენ სოფელშიო-რა?! რატო არ აივსებიან, შვილოსა, იმოდენა ჩვენი ნაჭირნახულევი სულ მა სათოკე ქედ-ძაღლებს არ მიაქვთ წლის-წლობამდისო! კვერს დაუკრამენ მეორენი დაღვრემილის სახით და მესამენი-კი მწარედ ამოიოხრებენ და ასე დაბოლოვებენ ნათქვამს: ააახ! შე დალოცვილო ღმერთო, ან როდის იქნება, ერთი მაგათ დავეხწივნეთო!.. თითქმის ყველა სოფელში გაიგონებთ დღეს ასეთს ნატვრას კაცისაგან, თუ დედაკაცისაგან, და ის-კი ფიქრადაც არ მოუვათ და არც-კი დაიჯერებენ, თუ მართლა შესაძლოა დაეხწივნენ თავიაანთ სულთამხუთავ მოვაჭრე-მოვახშეებს. წინასწარმეტყველი ინსტინქტი-კი წინა დღითვე ათქმევინებთ: „ან როდის იქნება, ერთი მაგათ დავეხწივნეთო“, რადგანაც იციან, რომ ქვეყანა ჩალით არ არის დახურული და ერთხელაც იქნება უსამართლობას ბოლო მოეღება ისე, როგორც არკაცურ ბატონ ყმობას და ბევრს სხვა ბოროტ-მოქმედებას მოეღო ბოლო.

როგორც ჰხედავთ, მაგალითად ალებული სამასი კომლი, გარდა იმ დამღუპავის ალებ-მიცემობისაგან გამოწვეულ 14,320 მანათის ყოველ წლიურის ზარალისა, სხვაფრივადაც მრავალ ნაირად იძარცვება და იღუპება სათოკე მოვაჭრეების ათას გვარის მატყუარობისაგან, რომელთა დაწვრილებით დასურათხატებას ერთი ფუთი ქაღალდიც არ ეკმარებოდა. მე მხოლოდ გაკვრით მოგახსენეთ იმათი გამოქნილი ავაზაკობა დასარწმუნებლად და საგულისხმიეროდ იმათთვის, ვინც ზედმიწევნით ვერ იცნობს ჩვენის ერის უმრავლესობის დღევანდელ ალებ-მიცემობას, რომ ამის შემწეობით მაინც წარმოიდგინონ იმათ ჩვენის ხალხის ნივთიერ ქონების ძირის მახრელი ჭირი. ეხლა-კი პირდაპირ გადავიდეთ ამ ჭირის წამალზედ, გამოვარკვიოთ შესაძლოსი საქმე, გავიგოთ მისი სიავკარგე და წეს-რიგი მოქმედებისა.

დ. მაჩხანელი

ისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა ე. ი. სოფლის სასამართლოებს უფლება აქვთ დამნაშავეთა როზგით დასჯისა იმ ადგილებში, სადაც მიღებულია დებულება საეროbო უფროსების შესახებ.

16 ივლისი

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** იარმუკობა დაიწყო. სხვა ქალაქებიდგან ვაჭრები ჯერ არ მოსულან; საქონელი მოაქვთ; მუშების შოვნა ძნელია; სამუშაოდ გაჰყავთ პატიმრები და გლეხები. იმედი აქვთ, რომ ცოტა ხანს შემდეგ იარმუკობის საქმე უკედ წავა, რადგინაც იარმუკობას ხელს შეუწყობს ვოლგას ნაპირების ჩინებული მოსავალი.

**ტაშკენტი.** „Туркест. Вѣд.“ იუწყება: ხმა ისმის, რომ გენერალ ანენკოვის მეთაურობით შემოდგომაზედ დაიწყობენ კვლევა-ძიებას რკინის გზის გასაყვანად სამარყანდიდგან ტაშკენტამდეო. რკინის გზა მხად იქნება სამის წლის შემდეგ. ინჟენერები უკვე გაემგზავრნენ ტაშკენტს.

**პარიჟი.** „Journal Officiel“-ში დაბეჭდილია სამინისტროს გარდაწყვეტილება, რომლის ძალითაც ნება დართულია რუსეთიდგან საფრანგეთში ცხვარის გადატანა, ხოლო იმ პირობით რომ: გემებზედ საფრანგეთის ბეითალები იყვნენ, გემებმა ზღაში დაჰკონ არა ნაკლებ 7 დღე და გემებმა გზაში სხვა სადგურებში არ შეიარონ.

**სოფია.** გუშინ 5 საათზედ საპატიმროს ეზოში დასაჯეს ჩამოხრჩობით: მილაროვი, ალექსანდრე კარაგულოვი, პაპოვი და გეორგიევი. სასიკვდილოდ განწირულნი უშიშრად მიეგებნენ სიკვდილს. განაჩენის წაკითხვის შემდეგ კარაგულოვმა დაიძახა: „გაუმარჯოს მაკედონიას“, ხოლო დანარჩენებმა — „გაუმარჯოს ბოლგარიას“-ო. ჩამოხრჩობას დაესწრნენ: ციხის კომენდანტი, სამხედრო პროკურორი, სასამართლოს ბოქაული, მკურნალნი და დასჯილთა ნეთესავნი. ჩამომრჩვალთა გვამი სასაფლაოზედ დაასაფლავეს.

პეტერბურგის ბირჟა, 14 ივლისი

| | მიღდევულისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,96 | 6,98 | — ,, |
| ჯამოგნის კუპონები . | 159¼ | 160 | — ,, |
| ანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| % პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 235¼ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 223¼ |
| ახლმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 192 | 193 |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 102½ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99¼ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102½ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99 /2 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 93¾ | — ,, | — ,, |

**გამოსადეგი ცნობანი**

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ტარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

ფოთიდგ გადის:ნ

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | „ | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ „ | „ |
| „ „ 2 | | |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ „ | „ |
| „ „ „ 2 | „ „ | „ |
| „ „ „ 3 | „ „ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში. | | |
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | კ. |
| მე-2 „ „ „ „ | | . |
| მე-3 „ „ „ „ | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 8 | „ |
| „ „ 2 „ | | „ |
| სუკი — — — | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | 9 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. | 7 | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | 6 | „ |

# განცხადებანი

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირ-უქმეა დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევისე 1 საათამდე. (150—75)

**შეშა**

**დიდს საწყობში**

რკინის გზის ვაგზალთან, ყორღანოვის ცხენის რკინის გზის ლიანდაგს ახლო.

ისყიდება შეშა წვრილ-წვრილად, ½ კუბიკურ საჟენიდგან დაწყებული, ხმელი სამზარეულო და პურის საცხობი შეშა უფრო იაფ ფასად, ვიდრე ურმობით იყიდება. აქვე ყიდულობენ ნარდად შეშას ტყის პატრონთაგან. 10—9

გასაფრთხილებლად.

ჩვენს პატივცემულს მყიდველებსა ვთხოვთ, რომ მოითხოვონ ხოლმე ჩვენ მიერ გამოგონილი საპონი

ოლეო-ვაზელინის

**როიალ-კონგო**

მხოლოდ ჩვენის წარწერით-კი ე. ბოდლოსი და ამხ. ამ საპონმა დიდი სახელი გაითქვა და არა აქვს-რა საერთო ღირსებითა და სუნით სხვა ამ სახელის მაგვარ სახელიან საპნებთან.

საპარფიუმერო ფაბრიკა

„ვიქტორია რეგინა“

**ე. ბოდლოსი და ამხ.**

მოსკოვს.

ისყიდება ყველგან! (10—6)

ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| 1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . | „ | 5 |
| 2) „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ ტოლსტოისა . | „ | 5 |
| 3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . | „ | 5 |
| 4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. | „ | 80 |
| 5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . | „ | 50 |
| 6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . | „ | 30 |
| 7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . | „ | 40 |

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლებლებთან.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

**რუხი მგელი**

მოთხრობა ზ. წერეთლისა

ფასი სამი შაური




(12—12

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველდ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ. — კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 50 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდის ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე-და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი;

**ზადიგი**

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვისმიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 16-го Іюля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.